PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონში“ - „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ანა უგულავა

წევრები:

ქეთევან ღვანიძე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ არაგეგმიური

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოთხოვნილი წარმოება.

I. საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 08 ნოემბრის MES 6 21 0001199369 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის“ „სკოლამდელი აღზრდის“ (განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის ქ. N6), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა (ცენტრში განაცხადის რეგისტრირების თარიღი: 29.10.2021, N00006469) და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტების შესაბამისობის შემოწმება.

შემოწმების განხორციელების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით, მიიღო დაწესებულების მხრიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ცენტრის მეშვეობით მიმდინარე წლის 17 ნოემბერს წარდგენილი ოფიციალური კორესპონდენციის საშუალებით დაწესებულებისგან მოთხოვნილ იქნა დამატებით ისეთი დოკუმენტაცია, როგორებიცაა: საგანმანათლებლო პროგრამა, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების პირადი საქმეები და ა.შ. დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა, როგორც ადგილზე, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დისტანციური ვიზიტის განრიგი და დაწესებულებასთან შესათანხმებლად გაუგზავნა ცენტრს. განრიგის თანახმად, მიმდინარე წლის 25 ნოემბერს ადგილზე ვიზიტის განხორციელებით მოხდა მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეფასება, ასევე მოხდა ბიბლიოთეკის დათვალიერება, ხოლო 26 ნოემბერს ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელთა შორის შედგა დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, კერძოდ zoom პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტების ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელებს და ბიბლიოთეკარს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების მიერ ცენტრის მეშვეობით ექსპერტებისათვის წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა. შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული მატერიალური და სასწავლო რესურსი. ექსპერტთა ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა დაეთვალიერებინა პროგრამის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლებისათვის განკუთვნილი გარემო.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში შემოწმებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით და ასევე განხორცილებული ვიზიტების შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში.

<u>დამატებით გამოვლენილი გარემოება:</u>

სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის გათვალისწინებით, კოლეჯმა დაიმატა ახალი აუდიტორია (მდებარე ქ.თბილისი, დ.ბაქრაძის ქ N6, აუდიტორია N17). მატერიალური რესურსის ადგილზე დათვალიერება/შესწავლისას დამატებულ აუდიტორიაში არ გახლდათ დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის რადიატორი, რომელიც შეძენილი ქონდა დაწესებულებას (რესურსის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოადგინა კოლეჯმა, თავად რადიატორიც შეფუთული ფორმით აუდიტორიაში იყო განთავსებული). კოლეჯმა აღნიშნული ხარვეზის თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მიმდინარე წლის 16 ნოემბერს № 00007153 განაცხადით თავადვე მოახდინა ცენტრის ინფორმირება, სადაც აღნიშნა, რომ აუდიტორიის გათბობა ხორციელდება კონდენციონერის საშუალებით. ვინაიდან ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1.1.4 კომპონენტი ითვალისწინებს, რომ კოლეჯის შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცენტრალური გათბობის სისტემით,ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტეს, რომ ვიზიტის დროს არსებული მდგომარეობითგარემოება ფასდებოდა როგორც ხარვეზი, მიუხედავად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილისა წარმოების პროცესში დაწესებულების წარმომადგენელთა მხრიდან შემუშავებულ იქნა და ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულ იქნა კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 ნოემბრის N112/1 ბრძანებით. ექსპერტების მოსაზრებით წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რელევანტურია და დასახელებული ორი თვის ვადა სრულიად საკმარისია გათბობის რადიატორის მონტაჟისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა მიერ კომპონენტი 5.1.1.4. შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

II. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

წარმოების ფარგლებში საუკეთესო გამოცდილება/მაგალით(ებ)ი არ დაფიქსირებულა.

III. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free
წინა ადმინისტრაციული წარმოებისას პროგრამის 2.2. კომპონენტის ფარგლებში არ გაცემულა რეკომენდაცია.

IV. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

V. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.1.4

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადაში უზრუნველყოს დასახელებული აუდიტორიის ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფა.

VI. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცდა: კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 9 თებერვლის N7/2 ბრძანება ცვლილება: კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 28 ოქტომბრის N99/2 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, დ. ბაქრაძის N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	136

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	–
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრულად შეესაბამება

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით. დღეის მდგომარეობით, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა - 68 ორ ცვლაში, ჯგუფში 34 სტუდენტი. დაწესებულებას სურს დამატებით 68 სტუდენტის მიღების უფლების მოპოვება. დაწესებულების მიერ წარდგენილი განაცხადის შესაბამისად სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნა განპირობებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაფიქსირებული პროგრამის მოთხოვნის მაღალი მაჩვენებლითა და მათ მიერ გამოყოფილი კვოტის სრულად ათვისებით. კერძოდ, www.vet.emis.ge - ის მონაცემებით, სკოლამდელი აღზრდის პროგრამაზე სულ დარეგისტრირდა 189 მოთხოვნა, ხოლო კოლეჯისთვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ამ პროგრამაზე შეადგენს 68-ს. სწორედ ამიტომ დაწესებულებამ მიიღო სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის დაფიქსირების გადაწყვეტილება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის ხსენებული საფუძველი ვიზიტისას დეტალურად იქნა ახსნილი ექსპერტთა ჯგუფისათვის კოლეჯის დირექტორისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ. მათი მხრიდან ასევე წარმოდგენილ იქნა მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამოღებული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან), რომელიც წარმოდგენილია თანდართულ დოკუმენტებში.

წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი პროგრამის განსახორციელებელი მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია. ასევე, ადგილზე ვიზიტისას ექსპერტების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free
გადამოწმებული იქნა პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო. დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს: ერთი A გარემო, N7 აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 34 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 34 პროფესიულ სტუდენტზე, 1 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 პროექტორი, 1 კომბაინი, 1 ფლიპჩარტი და პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). მეორე B გარემო რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 17 პროფესიულ სტუდენტზე, აღნიშნულ გარემოში ჯგუფში არსებული პროფესიული სტუდენტები იყოფიან 2 ჯგუფად. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის გათვალიწინებით დაწესებულებამ მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს იჯარის ხელშეკრულება გააფორმა შპს „რინა“-სთან (ს/კ 401987141), კერძოდ დაწესებულებამ 2 წლის ვადით იჯარით აიღო ქ.თბილისში, დ.ბაქრაძის N6-ში არსებული შენობის მე-3 სართულზე მდებარე 60 $მ^2$ ფართი,სადაც მოაწყო N17 აუდიტორია. ადგილზე ვიზიტისას ექსპერთა მიერ შემოწმებულ იქნა დამატებითი აუდიტორია. აუდიტორიაში განლაგებული იყო მაგიდა და სკამი 34 პროფესიულ სტუდენტზე, 1 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 ტელევიზორი, 1 პრინტერი, 1 ფლიპჩარტი და პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი).

საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის მოთხოვნის დაფიქსირებამდე კოლეჯს 3 (სამი) წლის ვადით ხელშეკრულებების გაფორმებული ქონდა ქ. თბილისის საბავშვო ბაგა–ბაღებთან ა(ა)იპ N73–ე (ხელშ. N57; 15.09.20წ.) და „ხუთკუნჭულა“(ხელშ.N58; 15.09.20წ). სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის დაფიქსირების შემდეგ დაწესებულებამ დამატებით გააფორმა ხელშეკრულებები ქ. თბილისის N197-ე (ს/კ 211351776, ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 01.07.2021, N80) და N198-ე საბავშვო ბარებთან (ს/კ 211351883, ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 01.07.2021, N79). თითოეული მათგანი უზრუნველყოფს 17-17 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას, 2 ცვლაში. ხელშეკრულებები გაფორმებულია 3 წლის ვადით. პრაქტიკის ობიექტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს მოდულის პრაქტიკული კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ პარტნიორი დაწესებულებების (საბავშვო ბაღების) წარმომადგენლებს, რომლებმაც გამოთქვეს მზაობა, პრაქტიკული კომპონენტის გავლისთვის.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით.

<u>2.2.1.2. საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.</u> პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის დაფიქსირებამდე ჰყავდა 10 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 5 ზოგადი და 5 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს დაწესებულებამ ხელშეკრულება გააფორმა დამატებით 2 პროფესიულ მასწავლებელთან (ხელშეკრულების N123, N124), ორივე მათგანი განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. დისტანციური ვიზიტისას ექსპერტები გაესაუბრნენ როგორც ძველ, ასევე დამატებულ 2 ახალ პროფესიულ მასწავლებელსაც. დაწესებულების მერ, ცენტრის მეშვეობით ექსპერტებისათვის მიწოდებული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტის თანხმად არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაშიც პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და მათი დატვირთვა ადეკვატური და საკმარისი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად უნდა ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გასაუბრება ჩატარდა პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან. დაწესებულების მიერ მოწოდებული პირადი საქმეების შესწავლისა და zoom პლატფორმის გამოყენებით ჩატარებული ინტერვიუს შესაბამისად, დასტურდება რომ პროფესიულ მასწავლებლებს გააჩნდათ შესაბამისი მოდულების განხორციელების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპეტენცია. შესწავლილი პირადი საქმეების შესაბამისად პროგრამის განმახორციელებელ ყველა პროფესიულ მასწავლებელს უფიქსირდება შესაბამისი მოდულის ცოდნის კვალიფიკაცია როგორც განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით, ასევე მიღებული სხვადასხვა სახის სერთიფიკატებით. მათ აქვთ სკოლამდელი აღზრდის პროგრამის სწავლების გამოცდილება. დამატებული ორი პროფესიული მასწავლებლიდან ორივე გახლავთ საბავშვო ბაღის მოქმედი პედაგოგი (ერთ შემთხვევაში ასევე ბაღის დირექტორი). ორივე მათგანს აქვთ სკოლამდელი აღზრდის სფეროში მუშაობის საშუალოდ 20 წლიანი გამოცდილება. მათი განათლება და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაძლებლობას. გარდა პროფესიული მასწავლებლებისა პროგრამას ხელმძღვანელობს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. რაც კიდევ მეტად ამყარებს სწავლების შედეგების შემუშავებისა და შეფასების კომპეტენციის არსებობას კონკრეტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების წესი რეგულირდება საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 57 და 58-ე მუხლები, სადაც ცხადად იკითხება, რომ პროფესიული მასწავლებლები ჩართული არიან შეფასების პროცესის და სწავლის შედეგების გამომუშავების პროცესის ჩამოყალიბებაში.

აღნიშნულზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

2.2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დაწესებულების "საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგურილებელი დებულებით" (თავი XII; მუხლი 55), პროგრამის ხელმძღვანელს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებასთან ერთად ნიშნავს დირექტორი. აქვეა გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები, გარდა აღნიშნულისა პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად მოცემულია პროგრამის ხელმძღვანელის ხელშეკრულებაშიც (გაფორმების თარიღი: 02.02.2021, N36). პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის სპეციალისტი, მიღებული აქვს შესაბამისი დარგობრივი განათლება და აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. დაწესებულების მიერ გამოგზავნილი პირადი საქმის, ხელშეკრულებისა და მასთან გასაუბრების შესაბამისად დადგინდა, რომ მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება მარეგულირებელი დებულებების მოთხოვნებს. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ხელმძღვანელთან გასაუბრებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გაცნობიერებული აქვს და იცის მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები.

აღნიშნულის თანახმად, დასტურდება რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

<u>2.2.1.5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.</u> ექსპერტთა მიერ ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება განხორციელდა კოლეჯში ადგილზე ვიზიტისას. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, ან ელექტრონული (რაც ასევე გაწერილია მოდულებში) სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულ ყველა კომპიუტერში და ასევე ბიბლიოთეკაში განთავსებულია დისკების სახით. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებ. გვერდზეც. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. რომელთა გამოყენებითაც პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ დისკებით ან ამობეჭდონ ელექტრონულად არსებული სასწავლო მასალა. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

2.2.1.6. <u>სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.</u> სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა და სპეციალურ საჭიროებებზე მისადაგებული კოლეჯის სივრცისა და სერვისების შეთავაზება გაწერილია დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ მე-12 თავში, კერძოდ 56-ე მუხლში დეტალურადაა მოცემული რომ საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე). დისტანციური ვიზიტისას დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ აღინიშნა, რომ დღეის მდგომარეობით საგანმანათლებლო პროგრამაზე - სკოლამდელი აღზრდა სწავლობს ერთი სსსმ პირი, თუმცა პროფესიული მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელის მითითებით მიმდინარეობს დაკვირვება ამ პირის უნარებზე, ჯერ-ჯერობით იგი არ საჭიროებს მოდულის ადაპტირებას. თუმცა, როგორც პროფესიული მასწავლებლების, ასევე დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან არსებობს მზაობა რათა სსსმ პირებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ამასთან, ადგილზე ვიზიტისას ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ კოლეჯის მთავარ შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, ასევე დამატებულ N17 აუდიტორის შესასვლელთან არსებობს ხელნაკეთი, მოძრავი პანდუსი. შენობაში მოქმედებს ლიფტი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

<u>2.2.1.7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.</u>

ექსპერტთა მიერ განხილულ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი ბიუჯეტი, საიდანაც ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამა მიმდინარეობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ წარდგენილ ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. შემოსავლების ნაწილი შედგება სწავლის გადასახადისა და საორგანიზაციო მოსაკრებლისგან; ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს ძირითად და პროგრამულ ხარჯს რომლებშიც შედის: ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლების ხელფასი, სამეურნეო, საკანცელარიო, კომუნალური, სარეკლამო, მივლინების, სტუდენტების კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის, პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free
განვითარების, კოლეჯის განვითარების, მასწავლებლის და სტუდენტების წახალისების, სასწავლო პროცესის მასალების და სხვა ხარჯები, ასევე იჯარა და ქონების გადასახადი. ბიუჯეტის შესაბამისად, რენტაბელობის ზღვარი არის 19 სტუდენტი.

შესაბამისად, დასტურდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სკოლამდელი აღზრდა“ - დამტკიცებულია შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის“ დირექტორის 2021 წლის 9 თებერვლის N7/2 ბრძანებით (ცვლილება: 2021 წლის 28 ოქტომბრის N99/2 ბრძანება)
- დაწესებულების მიერ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით,
- დაწესებულების მიერ მატერიალური რესურსების შეძენის დოკუმენტაციით,
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ ფორმით,
- დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ წარდგენილი ფორმით,
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით და მასთან გასაუბრებით,
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და მათი პირადი საქმეებით,
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (https://vet.emis.ge) ამოღებული მონაცემით პროგრამის მოთხოვნის მაჩვენებლის თაობაზე.
- გასაუბრების შედეგებით,
- ვებ-გვერდით (https://kavkasioni.edu.ge/),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით, დამტკიცებულია შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის დირექტორის 2021 წლის 09 თებერვლის N9/2 ბრძანებით (ცვლილება: 2021 წლის 17 მარტი N17/2; 2021 წლის 09 ივლისი N55/2; 2021 წლის 22 აგვისტო N61/2 ბრძანებები)
- პროგრამის ბიუჯეტით,
- ადგილზე ვიზიტით
- ვიზუალური დათვალიერებით (დისტანციურად - ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით).

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა;
დანართი 3. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (https://vet.emis.ge) ამოღებული მონაცემი პროგრამის მოთხოვნის მაჩვენებლის თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

PDF Eraser Free

30.11.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: